ცალკე ნომერი 5 კაპ.

ჩვენი გზა

№ 31

თფილისი

1907

პარასკევი, 12 ოქტომბერი

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 31 — ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 31

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.

—◆ ექიმი ◆—

ივ. გომართელი

1-ლ ოქტომბრიდან ღებულობს ავათმყოფებს **თფილისში.**

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ. № 10. ტელეფ. № 595.

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკიი სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (ივ.)

რამდენაც წიგნის მაღაზიის „ობრაზოვანიე“-ს საქმეების ლიკვიდაცია ხდება 15 ოქტომბერს, მაღაზის პატრონი აცნობებს კომისიონერებს, როგორც ქართული ისე რუსული წიგნებისას, მოვიდენ ანგარიშის გასასწორებლათ. (3—2).

УЧИТЕЛЬ и УЧИТЕЛЬНИЦА

Готовятъ во всѣ среднія учеб. зав.—гимназіи, реальныя и землемѣрное училища, учительскій институтъ, принимаютъ готовящихся на полный пансіонъ. Репетируютъ Адресъ: Тифлисъ, Сололаки Вознесенская, Церковный подъемъ, № 4.

(10—2) **С. А. ГРЯЗНОВЪ.**

ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მოითხოვოს **ფირალოვის** პაპიროსი „სიმპატია“ და „ინტელიგენტი“, რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო პლანტაციების არომატიული თუთუნისაგანაა შეზავებული და პროგრესიულათ გაუმჯობესებული.

პატივისცემით **ძმ. ფირალოვები.**

10—6—4.

გამოცდილი

მასწავლებელი

ამზადებს და წრთვნის მოწავლე ქალვაჟთ ყველა **საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის**; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: უდელნი ქუჩა № 18, თურქიას ბინა.

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

ქართული წარმოდგენა

არტისტიულ საზოგადოების თეატრში

პარასკევს, 12 ოქტომბერს

გაიმართება პირველი წარმოდგენა სეზონის დასაწყისად

ილია ჭავჭავაძის სასხოვრათ.

პროგრამმა

I.

პატივისცემა

დიდებულ პოეტის ქანდაკების წინაშე სიტყვები და ლექსები,

II.

ოთარაანთ ქვრივი

დრამატ. სურ. 3 მოქმ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან გადმოღებული.

III.

ცხოველი სურათები

IV.

გლახა ჭრიაშვილი

(სცენები მომრიგებელ შუამავალთან) ილია ჭავჭავაძის თხზულება.

მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

მორიგი წევრი გამგეობისა **ალ. პ. სარაჯიშვილი.**

მეტი სინათლე!

„კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდა“
ხალხური.

IV.

წინა წერილებში ჩვენ დავინახეთ, რომ თუ დღეს სოციალდემოკრატია ენერგიულათ მხარს უჭერს ლიბერალურ და დემოკრატიულ ბურჟუაზიას და იმავე დროს მას ებრძვის და ეკამათება, თუ მას დროებით მოკავშირეთ აღიარებს მიმდინარე ბრძოლაში და იმავე დროს შეურიგებელ და სასტიკ მოწინააღმდეგეთ ევლინება, ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთი ტაქტიკა არამც თუ არავითარ უკუღმართობას და ულოღიკობას არ შეიცავს—როგორც ეს გონია პროფ. მილიუკოვს—არამედ, პირიქით, იგი სავსებით შეესაბამება პროლეტარიატის კლასიურ ინტერესებს და ლოღიკურათ გამომდინარეობს სოციალდემოკრატიულ მოძღვრების პრინციპებიდან. ბურჟუაზიული იდეოლოგები შეიძლება კიდევ დავითანხმოთ იმაზე, რომ ხსენებული ტაქტიკა თეორეტიულათ, „ასე ვთქვათ, განყენებულათ“ არ არის მოკლებული თავის ლოღიკას, მარა პრაქტიკულათ კი, დღევანდელ პირობებში, — იმათი აზრით—სრულიად შეუწყნარებელია, იგი პირდაპირ მავნებელია, რადგან წინ ეღობება განმათავისუფლებელ მოძრაობის ძლევა-მოსილებასო; სოციალდემოკრატია იმ ტაქტიკის მეოხებით, ერთი ხელით აბათილებს იმას, რასაც აკეთებს მეორე ხელითო, ე. ი. როდესაც იგი მხარს უჭერს პროგრესიულ ბურჟუაზიულ პარტიებს ამით აერთებს ყველა მებრძოლ რაზმებს, და უეჭველია დიდათ აძლიერებს და მაღლა ეწევა მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობას, მარა როცა იგი ებრძვის ამავე პარტიებს კლასიურ ინტერესების ნიადაგზე ქადაგობს „კლასთა ბრძოლას“, ამით იგი კვლავ აცალკევებს, ქსაქსავს მებრძოლ ძალებს და ასუსტებს მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობასო. ასე განაგრძობს ბურჟუაზიის ყველა ჯურის და მოდგმის იდეოლოგები. ამ საკითხში ცოტა განსხვავებული ადგილი უჭირავს რადიკალურ გაზ. „ტოვარიშჩ“-ს.

როდესაც ამას წინათ გაზეთმა აღნიშნა კადეტების მარჯვნით ამოძრავება, მან სერიოზულათ და გულწრფელათ კადეტებს „მშვიდობის მგზავრობა“ უსურვა და თანაც დასძინა, რომ კადეტებს ამ გზაზე ვერ გაჰყვება და არც უნდა გაჰყვეს მემარცხენე ოპოზიცია, მემარცხენე პარტიები—მათ შორის სოციალდემოკრატია—რადგან ამათ თავის საკუთარი ისტორიული დანიშნულება აქვთ. ამათ ხალხს უნდა მისცენ სათანადო თვითცნობიერება, ორგანიზაცია, ესენი უნდა მჭიდროთ შეუკავშირდენ ხალხის მასსას, რათა ამ რიგათ ზურგი გაუმაგრონ სახ. დუმას, სადაც კადეტები ქვეყნისათვის სასარგებლო რეფორმების გატარებას შეუდგებიან. ასეთი უცნაური შრომის განაწილება სამართლიანათ იუკადრისა კადეტების ცენტრალურ ორგანომ „რეჩ“-მა. მან ერთობ საინტერესო პასუხი გასცა რადიკალურ გაზ. „ტოვარიშჩ“-ს. იგი სწერდა, რომ კადეტები სრულებითაც არ ფიქრობენ ხალხის მასსა მემარცხენე ოპოზიციას დაულოცონ, რომ, პირიქით, კადეტებიც მსურველნი არიან ხალხს ელაპარაკონ და ხალხზე გავლენა მოიპოვონ; „რეჩი“ სამართლიანათ აღნიშნავდა, რომ „ტოვარიშჩის“ ასეთი ორგულობა,—როცა იგი იწონებდა მემარცხენე ოპოზიციას და თან მარჯვნივ წასულ კადეტებსაც ტაშს უკრავდა,—შეიცავდა—უცნაურ წინააღმდეგობას; და იგი განმარტავდა: როდესაც „მემარცხენენი ხალხს უქადაგებენ და ცდილობენ ხალხის მასსას შეუკავშირდენ, ე'ი იმას ნიშნავს, რომ მათ ხალხში შეაქვთ „კლასიური თვითცნობიერება“, რაიც უსათუოთ იგულისხმებს კადეტებთან „ბურჟუაზიულ საფრთხესთან“ ბრძოლას და მაშასადამე—თავისებურათ, კადეტურათ დაასკვნიდა გაზეთი—მემარცხენე ოპოზიციის ტაქტის—(იგულისხმე. ს. დ. ტაქტიკა არამედ თუ არ ეხმარება კადეტებისაგან ნატვირთებ ქვეყნის განახლებას, არამედ, პირიქით, საფრთხეში აგდებს თვით სახალხო წარმომადგენლობასო.

ერთი სიტყვით, კლასიურ ინტერესების წამოყენება, ხალხში კლასიურ თვით ცნობიერების შეტანა, დღეს-დღეობით მაინც,—როცა ყველა პროგრესული საზოგადოებრივი ძალები შეერთებული უნდა იყვენ საერთო მტრის წინააღმდეგ,“—მავნებლათ არის აღიარებული. განვხილოთ რამდენათ მართალია.

საქმე ის გახლავთ, რომ კლასიური ინტერესები, კლასიური ანტაგონიზმი, კლასთა ბრძოლა სოც.-დემოკრატიისაგან არ არის გამოგონილი, ის ცხოვრების ფაქტია. ჩვენ როგორც უნდა ხელი დავაფაროთ კლასთა ბრძოლას, იგი მაინც იარსებებს ჩვენდა დაუკითხავათ და ჩვენი სურვილის წინააღმდეგ. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ შეუძლებელი შესაძლებელია, ვთქვათ რომ სხვადასხვა ძლიერ და გავლენიან პირებმა, ცნობილმა ბელადებმა „ამოავსეს უფსკრული ბურჟუაზიულ და სოციალურ დემოკრატიის შორის“, ვთქვათ, მრავალ-ფეროვან და სხვა და სხვა კლასიურ ინტერესების მქონე საზოგადოებრივ ჯგუფებს ერთი და იგივე პოლიტიკური სარტყელი შემოავლეს და ერთიანი არმია დაუპირდაპირეს ძველ რეჟიმს. რა მოხდებოდა? გამოცნობა ძნელი არ არის. პირველსავე საყურადღებო, ცოტათ თუ ბევრათ სერიოზულ საკითხის შესახებ ამ ერთიან არმიაში თუ მასსაში ბუნებრივს აუცილებლობით იფეთქებდა კლასიური ანტაგონიზმი და ეს მოხდებოდა იმგვარათ, და ისე მოულოდნელათ გამოიწვევდა საზოგადოებრივ ძალთა ისეთ გათიშვას და არევ-დარევას, რომელიც გააფთრებულ რეაქციას სრულ საშუალებას მისცემდა ერთის დაკვრით გაენადგურებინა განმათავისუფლებელთა მთელი ბანაკი. სულ სხვაა, როცა საზოგადოებრივი ძალები თანახმათ სხვა და სხვა კლასიურ ინტერესებისა დაწყობილია მტკიცეთ ჩამოყალიბებულ, სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებათ; და ეს პარტიები განსაზღვრულის პირობებით არიან შეთანხმებულ-შეკავშირებულნი საერთო მტრის წინააღმდეგ. აქ „ობივატელის“ მეზობლობისა და ტეტიურ გულ-კეთილობის ადგილს იჭერს ცივი გონება და პოლიტიკური ანგარიში, რაიც საჭიროების დროს ცემენტათ ხდება მოწინააღმდეგეთაგან „ერთი“ არმიის შესადგენათ; ასეთი არმია უზრუნველყოფილია „შემთხვევებისაგან, იგი მოძრაობს განსაზღვრული მარშრუტით და განსაზღვრულ გეგმაზე, თვითეული მისი ნაბიჯი მიზნის შესაფერი ხდება; ამრიგათ მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობა შედარებით უფრო ძლიერი და უფრო ნაყოფიერია.

ბ-ნი მილიუკოვი თავმომწონეთ აცხადებს, რომ მისი პარტია, ე. ი. კადეტები, კლას გარეშე პარტიაა, იგი აერთებს სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეებს, განურჩევლათ კლასებისა და ხალხს ელაპარაკება არა შორეულ „პერსპექტივებზე“, საბოლოო მიზნებზე, არამედ იგი მიჩერებულია დღევანდელ მომენტზე და იცავს ხალხის უახლოებელეს და დღიურ ინტერესებს. და „სწორეთ იმიტომ,—დაასკვნის მილიუკოვი,—რომ ავირჩიეთ პოლიტიკურ მოღვაწეობის წმინდა პრაქტიკული გზა, პარტია (კადეტები) შედგა იმ სწორე გზაზე, რომელიც მას შეაძლებინებს „შეუკავშირდეს ხალხის მასსას“ („რეჩი“ № 231).

რამდენათ მართალია კადეტების „კლას გარეშე“ ყოფნა, ეს ყველას კარგათ მოეხსენება, ვისაც კი თვალი უდევნებია კადეტების მოქმედებისათვის დუმაში თუ დუმის გარეთ. ზევით ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ „კლას გარეშე“ ყოფნა უტოპიურიც არის და მავნებელიც. ეხლა მილიუკოვი მიგვითითებს კადეტების ახალ უპირატესობაზე: იგინი „საბოლოო მიზნებზე“ კი არ კარგავენ დროს, არამედ იცავენ ხალხის უახლოებელეს და დღიურ ინტერესებსო. დავანებოთ თავი იმასაც, თუ რა მასშტაბით და რამდენათ კარგათ იცავენ კადეტები ამ ინტერესებს. განვიხილოთ რამდენათ ხელსაყრელია ეს „უპირატესობა“.

უახლოებელეს და დღიურ ინტერესების გარშემო უეჭველათ შეიძლება ხალხის ფართე მასსის ამოძრავება, მაგრამ თუ ყველაფერი თავდება ამ ინტერესებით, თუ ხალხის გონება ვერა სცილდება დღიურ, წარმავალ ინტერესებს, არ შეიძლება მისი მოძრაობა არ იყოს მჩატე, ზერელე; ასეთი სახალხო მოძრაობა შეუძლებელია ერთ კალაპოტში და ერთ მიმართულებაზე დააყენო; იგი თანაბარ ს სიადვილით და სისწრაფით გაქანდება როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ, იგი ისევე ჩაყუჩდება და ჩაქრება, როგორც აფეთქდება და აპილპილდება. იგი არასოდეს არ არის საიმედო. ერთი სიტყვით, უახლოებელეს, დღიურ ინტერესების და მიზნების ჩარჩოებში შეუძლებელია შევქნათ საუძვლიანი და ნაყოფიერი სახალხო მოძრაობა. აქ მხოლოდ დემაგოგიის საბრძანებელია. სულ სხვაა, როცა დღიური და უახლოებელესი ინტერესები შეერთებულ-შეკავშირებულია საბოლოო მიზნებთან, როცა ხალხის მასსა ორგანიზაციას ადგენს მტკიცე პოლიტიკურ პროგრამის ნიადაგზე, როცა უახლოებელეს მიზნების გარშემო ატეხილ ბრძოლას აცისკროვნებს კლასიური იდეალები, გულ-გონების წარმტაცი პერსპექტივა ხალხის საბოლოო განთავისუფლებისა ყოველგვარ სიდუხჭირე დამჩაგვრელობა-ექსპლოატაციისაგან. ასეთი მასსის მოძრაობა იძენს ძლიერების და ნაყოფიერების მაქსიმუმს. ამასთანავე წარსულის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ იმისდამიხედვით, რამდენათაც მაღლაა აწეული სახალხო მოძრაობა, იმდენათ თვით ლიბერალური ბურჟუაზია, თვით კადეტები, უფრო მხნეთ და გაბედულათ ეკვეთებიან ძველ რეჟიმს.

დიახ, „ჰიპერტროფიული კლასიური მოძღვრება“ ნამდვილათ სახალხო ბრძოლის სწორ-უპოვარი აკუმულატორია (შემგროვებელია). სოციალდემოკრატიის თეორია და პრაქტიკა თვით დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას აძლევს ნამდვილ ძლევა-მოსილებას. ამით აიხსნება, რომ სოც.-დემ. პარტია დღეს უკვე ასეთ თვალსაჩინო როლს თამაშობს რუსეთის იმპერიაში და ხვალინდელი დღე მას პირდება უფრო დიდებულ და ბრწყინვალე პერსპექტივას. ამითვე აიხსნება, რომ სოციალდემოკრატიას ისეთი შეუდარებელი თეორეტიული ბელადი, როგორიც არის პლეხანოვი, მაშინაც კი, როცა შორი მანძილიდან უყურებს რუსეთის სინამდვილეს, საოცარი რითაც სისწორით არკვევს, ტაქტიკურ საკითხებს და დამსახურებულის ავტორიტეტით უყვირის თავის პარტიას: მტკიცეთ და ენერგიულათ მხარი მიეცით ლიბერალურ და დემოკრატიულ ბურჟუაზიას ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ უმწიკვლოთ შეინახეთ თქვენი კლასიური ვინაობა და მუდამ მაღლა გეჭიროთ სოც.-დემოკრატიის წითელი ბაირაღი.

ახალი ამბები

სადეპუტატო კანდიდატი. როგორც გადმოგვცეს, თფილისის გუბერნიიდან საზოგადო კურიაში სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატათ სოც.-დემოკრატიულ პარტიას დაუსახელებია **ნიკოლოზ სიმონისძე ჩხეიძე.**

◆ **დეპუტატების არჩევნების გამო.** ის ოფიციალური განკარგულება, რომელიც გამოცხადებული იყო უმაღლეს მთავრობისაგან იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სათათბიროსათვის დეპუტატების არჩევა როგორც საზოგადო, ისე რუსთა კურიაში თფილისის გუბერნიისა და ამიერ კავკასიისა უნდა მოხდეს 14 ოქტომბერს, ძალაში რჩება. ამნაირათ, 14 ამ თვეს მოხდება ორივე კურიის „ვიბორშჩიკების“ კრება ცალ-ცალკე თითო დეპუტატის ასარჩევათ; ცხადია, ეს უნდა იცოდნენ ყველა პროვინციელ ამრჩევლებმა (ვიბორშჩიკებმა) და რამდენიმე დღით ადრე უნდა გამოცხადდენ ქ. თფილისში, წინასწარი კრებების მოსახდენათ სადეპუტატო კანდიდატის დასასახელებლათ.

◆ **მუშების შეტაკება.** როგორც ჭიათურიდან იტყობინებიან, იქ მომხდარა შეტაკება ვაგონების დამტვირთველ მუშათა ორ არტელ შორის. მიზეზი ადგილობრივი მაწეთ-მზომელი ჩერნევსკი ყოფილა; მას დაუთხოვნია ძველი არტელი და მის ალაგას მიუღია ახალი მუშებისაგან შემდგარი არტელი. ამ ორ არტელთა შორის მომხდარა შეტაკება. შედეგი ჯერ არ ვიცით, მხოლოდ საქმე გამწვავებული ყოფილა.

◆ **უკმაყოფილება პურის გაძვირების გამო.** 9 ოქტომბერს, დილით მალაკნების ქუჩაზე ხალხი შემორტყმია გარს პავლე არჩვაძის პურის დუქანს და წინადადება მიუციათ მისთვის არ გაბედოს მან პურის 5 კაპ. მეტათ გაყიდვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამუქრებიან, დუქანს სულ მივლეწავთო.

ამნაირი ფაქტი მოხდარა იმავე დღეს 1-ლ საპოლიციო უბანში დუშეთის ქუჩაზე ერთ მეპურესთან. ყველა ეს აიხსნება, თურმე, იმ გარემოებით, რომ ზოგიერთ მეპურეს გირვანქა პური 6 კაპ. გაუხდია.

✦ **პურის გაძვირების შესახებ.** 10 ოქტომბერს საღამოს 8 ს. ქალ. საბჭოს დარბაზში მოხდა კერძო სათათბირო კრება ახალი საბჭოს ზოგიერთ წევრებისა ძველი გამგეობის წევრთა თანადასწრებით ქ. თავის მოადგილის ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ იქონია მსჯელობა პურზე ნიხრის გადიდების შესახებ. კრებაზე ბევრნაირი აზრი გამოითქვა' რომ გამოერკვიათ მიზეზები პურის გაძვირებისა და საშუალებანი ნიხრის გადიდების თავიდან ასაცილებლათ მოხსენება წაიკითხა ქ. გამგეობის დავალებით ქ. სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველმა კ. ხახანაშვილმა, მოხსენებაში ნაჩვენები იყო ის მოტივები, რომლებითაც სარგებლობენ მეპურეები პური'ს გაძვირების შესახებ. გარდა ამისა მოხსენებული იყო ისიც, რომ შესაძლებელია გირვანქა პური გაიყიდოს არა 6 კაპ., არამედ ნაკლებათ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებლათ 15 ოქტომბრის სხდომაზე ქალაქის საბჭომ უნდა განიხილოს ეს კითხვა და დააწესოს, თუნდ დროებითი სავალდებულო ნორმა ნიხრისა. მეორე—სანამ ეს მოხდებოდეს, წინადადება მიეცეს. ქალ. გამგეობას: აცნობოს ყველა მეპურეებს ძველებური ნიხრით გაყიდონ მათ პური ახალი ნიხრის გამოცემამდის, რაც ამ ორ-სამ დღეში იქნება გამოცხადებული.

✦ **მკვლელობა.** 10 ოქტომბერს შუადღის 3 ს. ლაზარიევის და ავლაბრის ქუჩის კუთხეში ერთ უცნობს რევოლვერის ტყვია უსვრია მეპურე ალექსა გიორგობიანისთვის, მხოლოდ იმის გულისათვის, რომ გიორგობიანი არ დასთანხმებია მას გირვანქა პური 6 კაპ. გაუყიდია მსროლელი გაქცეულა მას პოლიცია გამოჰკიდებია სროლით და სასიკვდილოთ დაუჭრია დაჭრილი რამოდენიმე ხნის შემდეგ გადაცვლილა. ჩხრეკის დროს მას აღმოჩენია რევოლვერი, 1 პატრონა და 4 ცარიელი გილზი.

✦ **პარიკმახერების გამარჯვება.** ვართანოვის საპარიკმახეროში მუშების გაფიცვა დამთავრდა გამარჯვებით. 2 ოქტომბერს განაახლეს მუშაობა. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი პარიკმახერთა პროფესიონულ კავშირის ბიურო· გაფიცვა ორი დღე გაგრძელდა.

✦ **ვადარჩენა უბედურ შემთხვევისაგან.** როგორც იტყობინებიან 10 ნოემბერს შუაღამისას ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე 362 ვერსის მანძილზე სადგურ ფოილოსა და აღსტაფას შუა, ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს ლიანდაგზე ორი დიდი ხე დაუდვიათ, ამ დროს ღამის 12 ს. და 35 წ. გაუვლია სამხედრო მატარებელს № 32; შემთხვევით არავერი დაზიანებულა.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 9 ოქტომბერს საღამოს კრასნაგორის ქუჩაზე პოლიციას გაუჩხრეკია ნასირაძის სახლი· სანაალმდეგო არაფერი აღმოუჩენიათ. ამავ ღამეს პოლიცაას დაუპატიმრებია ფარმაცევტი ზემელის აფთიაქისა ქარცივაძე, და ქალაქის აფთიაქის ფარმაცევტი ჯაში და ერთიც გლეზერის აფთიაქის შეგირდი კალესნიკოვი.

8 ოქტომბერს მე-8-ვე საპოლიციო უბანში დაუპატიმრებიათ სოფ. წყრულეთის (თფილ. მაზრა) მცხოვრები ზურაბ აფიციაური; მას ბრალდება სტრაჟნიკების დახოცვა.

✦ **თავდასხმა.** 10 ოქტომბერს ღამით ყარსის გზაზე ბოროტ-გამზრახველები დასცემიან № 69 საყარაულო ბუტკას, გაუტაცნიათ 150 მ. და მიმალულან.

✦ **შანტაჟი.** როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში, დიდუბეში მცხოვრებ კარაურზასთვის უცნობ შანტაჟისტებს წერილი გაუგზავნიათ, რომლითაც შანტაჟისტები ემუქრებიან სიკვდილით დასჯას, თუ დანიშნულ დროს დანიშნულ ალაგას 300 მან. არ გადასცემენ მათ. წერილს ქვეშ ბეჭედი აქვს შემდეგი ზედწარწერით: „ჯგუფი თავისუფალ ტერორისტებისა“.

✦ **ადგილი კენჭის ამოსაღებათ.** ახალ ჯარის-კაცთა გაწვევა კენჭის ამოსაღებათ თფილისიდან მოხდება 15 ოქტომბერს ქალაქის თვითმართველობაში კი არა, არამედ პუშკინის სამკითხველოს შენობაში, ხოლო კენჭის დათვლა და შემოწმება—ქალ. სამხედრო საკრებულოში.

✦ **თფილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი:** თფილისის მცხოვრები ალ. ელბაქიძე, სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის იარაღის შესახებ დაჯარიმებულ იქნა 100 მანეთით.—გორის მაზრის მცხოვრებს ტატე კვერცხიშვილს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის, აეკრძალა ცხოვრება თფილისის გუბერნიაში და ზაქათალის ოლქში, სამხედრო წესების მოხსნამდე.—თფილისის მცხოვრები გეორგ ალექსეევი და სიღნაღის მცხოვრები სიმონ მაისურაძე, სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქნენ ციხეში ჯდომით პირველი 2 თვით, მეორე 1 თვით.—სიღნაღის მაზრის სოფ. ჯუმაანის მცხოვრები ვანო ბოლაშვილი, როგორც მავნე პირი საზოგადო და სახელმწიფო მშვიდობიანობისათვის, გადასახლებული იქნა ორენბურგის გუბერნიაში, პოლიციის მხედველობის ქვეშ სამხედრო წესების მოხსნამდე. სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო მაჩხაანის მცხოვრები: დათა მუსულაშვილი და ლევან მასხარაშვილი, როგორც მავნე პირნი საზოგადოებისათვის, იგზავნებიან პოლიციის მხედველობის ქვეშ ურალის ოლქში სამხედრო წესების მოხსნამდე.

✦ 11 ოქტომბერს შუადამისას ამაღლების ქუჩაზე ვიღაც ბოროტგამზრახველს დაუჭრია სიღნაღის მცხოვრები წყალობა უაზართვი. რადგანაც უკანასკნელი მთვრალი ყოფილა, არ ახსოვს თურმე ვინ იყო მისი დამჭრელი.

✦ 10 ოქტომბერს პოლიციას დაუპატიმრებია თფილისის მცხოვრები სერგო კასრაძე, მას აბრალებენ 1-ლი საპოლიციო უბნის გოროდოვოის ნიკოლაევის მოკვლას.

✦ 10 ოქტომბერს შუადღის 1 ს. ელისაბედის ქუჩაზე გ. გ. აზის იმამოვის ფქვილის საწყობში შესულან სამი შეიარაღებული უცნობები რევოლვერებით და სიკვდილის მუქარით კასიდან გეუტაციათ 215 მან. და გაქცეულან. მძარცველებს პოლიციელები სროლით გამოკიდებიან, მაგრამ ვერ დაუჭერიათ.

✦ 10 ოქტომბერს საღამოს 8 ს· ვაგზლის ქუჩაზე უცნობ ბოროტ გამზრახველებს რევოლვერის ტყვიით მოუკლავთ ერთი კაცი, რომლის ვინაობა არ არის გამოკვლეული. პოლიცია გამოკიდებია მსროლელს, მაგრამ ვერ დაუჭერიათ.

ბათუმის ქრონიკა

—

27 ოქტომბერს, ბათუმში განზრახულია ქართული საღამო გამართონ. საღამოზე წარმოდგენილი იქნება „სცენები განთავისუფლების დროიდან“ ი. ჭავჭავაძისა, ცოცხალი სურათები და სხვა. როგორც ამბობენ, საღამოს შემოსავალი ილია ჭავჭავაძის სახელობის ფონდის გასაძლიერებლათ გადაიდება.

— ოფიციალურათ გადაწყვეტილია, ბათუმის ზღვის ნაპირა ბატარეიები უნდა გაუქმდეს. ბატერიების მოხსნას ახლო მომავალში მოხდება.

— „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გამგეობამ უკვე დაამტკიცა ახლათ არჩეული ბათუმის ქართულ სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტის წევრები. კომიტეტში შედის 10 წევრი, მათ შორის 4 წევრი, სულ ახლათ არჩეულია: ორი ქალი, მ. ელიავასი და ე. მდივნისა; ს. მდივანი და მამედ-ბეგ აბაშიძე. 9 ამ თვეს კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. დ. ჟურული, რომელიც წინათ კომიტეტის წევრათ ითვლებოდა. თქმა არ უნდა, ახლათ არჩეული კომიტეტი სკოლის მდგომარეობას გამორკვევას შეუდგება. ბათუმის ქალაქის მასწავლებელი დღეს მატერიალურ მხრივ ვერ დგას სასურველ ნიადაგზე. სკოლაში ოთხი მასწავლებელი ასწავლის 180-დე მოსწავლეს. შკოლის ერთათ ერთ შემოსავლის წყაროთ ქართული საღამო ითვლება, რომელიც, ჩვეულებრივათ ყოველ 14 იანვარს იმართება. არსებობს საწევრო გადასახადი—წლიური 6 მ., რაიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან ძნელათ გროვდება. არსებობს აგრეთვე სასწავლო გადასახადიც ბავშვებზე, წლ. 6 მ., რაც, რაღა თქმა უნდა, ღარიბ მშობლებიდან ვეღარ გროვდება და არც სასურველია შკოლის ასეთი გადასახადი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ცუდ პედაგოგიურ და ზნეობრივ შედეგებს, როგორიც მოსდევს შკოლის ასეთ დამოკიდებულებას ბავშვებთან და მშობლებთან. ქ. ბათუმის სხვა პირველ დაწყებითი შკოლებში სწავლება უფასოა.

— სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნ დეპუტატის არჩევა მოხდება 14 ამ თვეს ქ. ბათუმში; „ვიბორშჩიკები“ სოხუმისა და ყარსის ოლქებიდან ჩამოლენ.

— ამას წინათ დატყვევებული მიხეილ კალანდაძეს, მთავრობის ნებართვით, შეუძლია ქალაქ ფოთში ცხოვრება.

— 9 ამ თვეს დაიწყო 1905 წლის ქ. ბათომში მომხდარ შეიარაღებულ აჯანყების საქმის გარჩევა. ჩამოსულია საოლქო სასამართლოს სესია. ბრალდებულთ იცავენ: გრუზენბერგი, ნ. ელიავა, კლანკი, ესსენი, ი. ბარათაშვილი და გინკულოვი. საქმის გარჩევა სამს დღეს გასტანს.

— ადმინისტრაციის მიერ მოხდა განკარგულება, რითაც ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს დ. აბულაძეს, 27 სექტემბრიდან, აეკრძალა ცხოვრება ბათუმის ციხის რაიონში.

— ამ რამდემიმე დღის წინათ ფოთის ერთ მეაფთიაქის სახელობაზე კავკასიის საფთიაქო საქონლებით სავაჭრო განყოფილების მიერ, რომელიც ბათუმში იმყოფება, გაიგზავნა საფთიაქო საქონლები. დამზღვევ საგენტო „ნადეჟდიდან“. გაგზავნილი ნივთები ადრესატს არ მიუღია, მიუხედავათ იმისა, რომ ამისათვის გირაო—20 მ. შეტანილი იყო. ბათუმში დაბრუნებულ ნივთებზე ეჭვი აიღეს. და მე-5 უბნის ბოქაულის თანადასწრებით კიდეც გაჩხრიკეს ყუთში საფთიაქო საქონლის მაგივრათ, ცარიელი ბოთლები, აგური, თივა და სვირის ღვინით ბოთლები აღმოჩნდა. ამ საქმის შესახებ ოქმი შეადგინეს და გამოძიება სწარმოებს.

ვინ ჭორიკანობს?

(პასუხი „ისარის“ რედაქციას)

„ისარის“ და მისი წინაპრების რედაქციები უხვათ უთმობდენ ალაგს თავიანთ გაზეთებში ლანძღვა-კინებას, მაგრამ თავის სახელით მაინც არ გამოქონდათ ის და ამიტომ არც მე მქონდა სურვილი ხელმოწერილი წერილების პასუხი რედაქციისთვის მომეთხოვა. დღეს კი „ისარი“ სულ სხვა გზას დაადგა, მისი რედაქცია გაზეთის მე-217 ნომერში (იხ. პრესა) „ჩვენი გზის“ რედაქციას და მე ორთავეს ჭორიკანებს გვიწოდებს. „ჩვენი გზის“ ჩვეულებრივი შელანძღვის შემდეგ „ისარი“ ამბობს: „როგორც ვიცით, სოც.-დემოკრატები ფოთშიაც დამარცხდენ, ეჭვი არ არის, იქაურმა მეთაურებმა ამ დამარცხებისათვის დიდი „ვიგოვორი“ მიიღეს თავიანთ ცენტრალურ დეპარტამენტისაგან, და აი, ერთი მათგანი, ცნობილი ფოთელი მეჭორიკანე ბ-ნი ეს-დე, თავისი და თავის ამხანაგების გასამართლებლათ მოყოლია აბდაუბდას და ს.-ფედერალისტების ლანძღვას“.—რისთვის გვიწოდეს ჩვენ მეჭორიკანე? რას ნიშნავს ს.-ფედერალისტების ლანძღვა? ან რ შევცოდეთ „ისარს“ ასეთი“? მეჭორიკანე ქვია ისეთ კაცს, რომელიც სრულიად უსაფუძვლოთ, უფაქტოთ სიცრუეს ავრცელებს ვინმეზე. ჩვენ კი ჯერ ფაქტები ავალაგადეთ და შემდეგ შესაფერი კომენტარიები და დასკვნები მივაყოლეთ. ცხადია, თუ „ისარს“ სურდა ჩვენი მეჭორიკანეთ მონათვლა, ჯერ ჩვენი ფაქტები უნდა დაერღვია.

„ისარი“ არ მოიქცა ასე. ყველაფრიდან სჩანს, რომ ის გაურბის ფაქტებს და ლოღიკურ მსჯელობას, მაგრამ ჩვენ მაინც მოვაგონებთ მას ჩვენი წერილის შინაარს. იქ ჩვენ წამოვაყენეთ შემდეგი

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი

ი. ნიკიტინისა

განთიადისას, შელამებულზეც
ქვრივნი ობოლნი უვლიან სახლსა,
და ფანჯარასთან ხურჯინით ხელში
სულყველას თხოვენ მოწყალებასა!

—

ვინ გაიძულა სამოწყალეოთ,
ან თუ გეზარვის, რომ შრომა ნახო,—
მძიმეა, მწარე შენი სვე-ბედი,
უსახლ-უკარო, ჩაგრულო ხალხო!

—

ყველა გაგიწვდის მოწყალებასა,
აღარც მოკვდები ყინვა-ზამთარში,—
მხოლოდ ცოდვაა ქმნილება ღვთისა
ვნესით მავალი ტლაპო-ტალახში!

—

მაგრამ გვეგულვის ჩვენ დაჩაგრული
უარესიცა; ის ვერ თხოულობს!
მთელი სიცოცხლე მუშაობს იგი.
ნაცვლათ ტანთსაცმელს, საზრდოს შოულობს!

—

ქოხმახში სძინავს მტვრიან ჩალაზე,
გმირს თანდაყოლილ შავბედიანსა,
ქვასავით უდგას ყოველ განსაცდელს
და სპილენძივით ყოველ ზიანსა.

—

კუბოს კარამდე მიწას ჩაჰყურებს,
სთესს, მკის და მაინც ვერ უვლის კერას,
ღრუბელი ცისა თავს ჩამოსტირის
და ქარი უმღერს მწარე სიმღერას!

პეტერბურგი, 30 სექტ. იასამანი.

ჯ ა შ უ შ ი

დრამა 4 მოქმედებათ. *)

მოქმედება მეოთხე

(სცენა წარმოადგენს გიორგის ზალას, ლიზა და ლევანი)

ლიზა. მამა ჩვენი სწრაფათ დაექცნება თავქვე; ვგრძნობ რომ ჩვენი დაღუპვა აუცილებელია. ზიზღი, სიძულვილი, წყევლა და კრულვა დღეიდან ჩვენი ხვედრია. აქ დარჩენა მე აღარ შემიძლია. დიდხანს ვებრძოლე ჩემს თავს, მაგრამ სხვა გზა ვერ გამოვნახე.

ლევან. (გაუნძრევლათ) სად მიხვალ მერე?

ლიზა. მეც არ ვიცი ჯერ, სად მივალ. ის კი ვიცი, რომ აქ გაჩერება აღარ შემიძლია. წავალ სხვაგან, გაკვეთილებს ვიშოვნი და მერე კიდევ მოვიფიქრებ რასმე. გირჩევ, შენც წახვიდე აქედან.

ლევან. ჩემი აქედან წასვლა ყოვლათ შეუძლებელია. რომ არ მოვსულიყავი, კარგი იყო, რაკი მოვედი, ახლა წასვლა აღარ შეიძლება: ჩემ მიერ წამხდარი საქმე მევე უნდა გამოვაკეთო.

ლიზა. შენ კარგათ იცნობ მამა შენს. ნუ თუ ვერ გაიგე, რომ, თუ აქამდე ის არაფერს გიჯერებდა, აწი უფრო აღარაფერს დაგიჯერებს.

ლევანი. (შეინძრევა) უნდა დამიჯეროს!

ლიზა. მე კი მგონია, რომ გამოსწორების მაგიერ უფრო წაახდენ საქმეს.

ლევანი. (ზეზე წამოხტება და გულმოსული) თუ მე ვერ გამოვასწორებ მევე დავღუპავ ჩემს საქმესაც და ამ ოჯახსაც (რამოდენიმე ნაბიჯს გადაადგამს, თავში ხელებს იტაცებს და შედგება, თითქოს რაღაცას ფიქრობს).

ლიზა. (გაოცებული) როგორ? ოჯახს დაღუპავ? (ლევანი იმგვარსავე მდგომარეობაში და პასუხს გასცემს, ლიზა მიჩერებია).

ლევანი გევედრები, ნურაფერს მკითხავ. ჩემს თავში ათასი ფიქრი ტრიალებს და ხანდახან ისეთ ხასიათზე დავდგები ხოლმე, რომ მზათ ვარ, ქუჩაში გავვარდე და პირველი შემხვედრი მოვკლა. რათა? რისთვის? მე თვითონ არ ვიცი. (პაუზა) განა წარმოვიდგენდი, რომ მამა ჩემი ამგვარ საზიზღარ ზომას მიმართავდა? მისი სიკვდილი მუშებს გადაწყვეტილი ქონდათ. მე უკანასკნელ საშუალებას მივმართე, არ დავუმალე მას მისი ხვედრი; მეგონა, რომ ეს მაინც ჩააფიქრებდა მას, შეაჩერებდა, გონს მოიყვანდა და სხვა გზაზე დააყენებდა (უფრო დაბალის ხმით) მაგრამ, რასაც სრულებით არ მოველოდი, ის მოხდა (ჩაფიქრებული დგას და შემდეგ მაღალის და აკანკალებულის ხმით) როდესაც წარმოვიდგენ, რომ მე უნებლიეთ ჯაშუში გავხდი, ჯაშუში, ჩემი თავი მეზიზღება, მამა ჩემში ჩემს მოსისხლე მტერს ვხედავ (მაგიდასთან ჩამოჯდება, რამოდენიმე ხანს სიჩუმეა, შემდეგ ლიზა ადგება და მივა ძმასთან).

ლიზა. ლევან! სულ ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ერთსა ჰფიქრობ, ერთი განზრახვა გაქვს, ცხოვრება კი სულ სხვანაირათ ეწყობა. შენს თავს ნურაფერში ნუ ამტყუნებ. შენ ყოველი ღონე იღონე, რომ მამა დაგეფარა, შენ აწი შენი მოვალეობა მოხდილი გაქვს.

ლევანი. ჩემი მოვალეობა მე მოხდილი მაქვს მამის წინაშე, მაგრამ მე მოვალეობა არ მომიხდია ჩემი ამხანაგების წინაშე. მეც წამოვალ, წყეულიც იყოს დღეიდან ეს სახლი, მაგრამ სანამ ჩემს ამხანაგებს არ გავანთავისუფლებინებ, მე ვერ წავალ აქედან. (შემოდის მოსამსახურე, წერილს აძლევს და გადის, ლევანი წერილს გახსნის. ამ დროს კარს გააღებს მაკრინე და ლიზას უძახის).

მაკრინე. ლიზა, აქ მოდი! მამა გიძახის (ლიზა გადის, ლევანი წერილს კითხულობს და თანდათან აღელვება ეტყობა, შემდეგ ზეზე წამოხტება და ხმამაღლა კითხულობს: „უძლურმა, ქმრიშვილის სიყვარულით დაბრმავებულმა და მამი-თქვენის სიბრალულით წაქეზებულმა ქალმა მოგმართეთ თქვენ, როგორც ჩემი ქმრის ამხანაგს, რომ გეხსნათ ყველა. თქვენ ეს შეგეძლოთ; მაგრამ ჯაშუშის ენამ ყველა ჟანდარმებს ჩაუყარა ხელში! და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მე თქვენ ჩემი საიდუმლო მოგანდეთ. მითხარით, ნუ თუ ქვეყნათ მეგობრობა, პატიოსნება არ არსებობს სრულებით? ნუ თუ ტანჯული ადამიანი თავის ამხანაგს არ უნდა ენდოს? ნუ თუ მეგობრის კან ქვეშ ხშირათ ჯაშუშის გული სცემს? მითხარით, დამარწმუნეთ, რომ ეს ტყუილია, რომ ეცდები. განფანტეთ ჩემი ეჭვი“. (კბილებს დააკრაჭუნებს, კითხვას ანებებს და ხმა-მაღლა იმეორებს) მეგობრის კან ქვეშ ხშირათ ჯაშუში გული სცემს! (წერილს დაკუმშავს და დაარტყამს ძირს ხელებს თმაში იტაცებს) სტყუით, ყველანი სტყუით!.. ჰმ, საზიზღარო! (მიდის კარებისაკენ, შედგება, რამოდენიმე ხანს გაჩერებულია, შემდეგ გამოტრიალდება, ნელა-ნელა წავა ქალაღდისაკენ, აიღებს, გაშლის, დაეშვება სკამზე, დაჩერებია რამოდენიმე ხანს და შემდეგ გაშტერებული იცქირება სივრცეში) ვინ რა იცის, ჩემს გულში რა ცეცხლი ტრიალებს? ვინ რა იცის, მე რა მიზანი მქონდა? ყველას უფლება აქვს ჯაშუში მიწოდოს, ყველა დარწმუნებულია, რომ მე მათი მოსისხლე მტერი ვარ, ჩემი სიცოცხლე განა სიცოცხლეთ ღირს? (რამოდენიმე ხანს სიჩუმეა, შემდეგ კარი ჩქარა გაიღება, გიორგი ხელით გამოიყვანს ლიზას, შედგება, ხელს გაუშვებს და კარებზე მიუთითებს).

გიორგი. მაშ თუ წასვლა გინდა, მიბრძანდი! ერთი ბეწვათ არ ჩავაგდებ, გულიდან ამოგირეცხავ, დაგივიწყებ სრულებით, შიმშილით მოგკლავ!

ლიზა. მე დიდი ხანია, ამოგირეცხეთ გულიდან, მამაჩემო, და ამიტომ თქვენი რისხვისა აღარ მეშინი, რაც შეეხება თქვენს მუქარას, ათას წილათ მირჩევნია შიმშილით მოვკვდე, ვიდრე ამ ცოდვით სავსე ოჯახში მაძღარი ვიყო. (წასვლას აპირებს, მაგრამ ლევანი წამოდგება და შეაჩერებს).

ლევანი. მოიცადე, მეც შენთან მოვდივარ; მამაჩემო, მე აღარაფერს აღარა გთხოვთ, არც არაფერი მინდა თქვენგან. აღმიდგინეთ მხოლოდ ის პატიოსნება, რომელიც თქვენ შემიბღალეთ. დამიბრუნეთ ის სახელი, რომელსაც თქვენ საშინელი ჩირქი მოსცხეთ. თქვენ მე წამართვით ის, რაც ჩემთვის ყოველისფერზე უძვირფასესი იყო, რაც თქვენის მილიონებით არ იყიდებოდა; თქვენის წყალობით მე ჯაშუშის სახელი მოვიხვეჭე. და თუ გინდათ, რომ თქვენი შვილი არ ატარებდეს ამ სახელს, შეიტანეთ თხოვნა, რომ გაანთავისუფლონ ის პირები, რომლებიც დააჭერინეთ.

გიორგი. მე შვილები არა მყავს! განა შენ ჩემი შვილი ხარ? (შემოვა ამ დროს მაკრინე).

მაკრინე. რა ღვთის რისხვაა, რომ უბრალო საქმეს სალაპარაკოთ გახდით? (ქმარს მიმართავს) ახლა რა ვუყოთ რომ თქვა? განა მართლა გაიქცევა მამის სახლიდან?

ლევანი. უკანასკნელათ გთხოვთ ჩემს სახელს ეს საშინელი ჩირქი მოწმინდოთ და დაგანებებთ თავს, მოგშორდებით სამუდამოთ.

გიორგი. საცა გენებოს, იქ წაბრძანდი (გატრიალდება და გადის).

ლევანი (მიიწევს კარებისაკენ). საზიზღარო, მტარვალო, ავაზაკო, (ტირილი აუვარდება) მე მოვკლავ მაგას და ჩემს თავსაც მოვიკლავ (დედა და ლიზა ეცემიან კლავებში და სავარძელში ჩასვამენ ხმა-მაღლა მტირალს).

მაკრინე. ვაი ჩემს ყურებს! ვაი ჩემს გაგონებას! ევ რა თქვი შვილო, ჰა? ეშმაკს გადააფურთხე შვილო, ეშმაკს! შენხელა შვილი მამამ კიდეც რომ გალახოს

*) დასასრული იხ. „ჩვ. გზა“ № 30

ბრალდებანი: 1. ფოთელმა ფედერალისტებმა, სამი კაცის გამოკლებით, მონაწილეობა მიიღეს მესამე სახელმწ. დუმის არჩევნებში და ამით უღალატეს მათი პარტიის მიერ გადაწყვეტილ ბოიკოტს. ამის საბუთი თვით ის სიაა, რომელშიაც აღნიშნულია არჩევნებში ყველა მონაწილე პირი და რომელიც არჩევნების „დელოში“ ჩაკერებული უნდა ინახებოდეს უპრავაში ან საგუბერნიო „პრისუტსტვიეში“, ფაქტი უნდა გამოთილდეს-ვიწვევთ რედაქციას დაგვირღვიოს ეს ფაქტი

2. ფოთელი ფედერალისტები შეუკავშირდნენ იმ „ვაჭრობას“, რომლებმაც შარშან ანდრია ქვანიძის მეთაურობით ყველა საკუთარი კანდიდატები გაუშვეს ფედერალისტებს—ამის საბუთი? ინებეთ-მეორე დუმის არჩევნები, როდესაც ადგილობრივი „ვაჭრობა“ გამოეყო ფედერალისტებს და საკუთარი კანდიდატების წამოყენებით წაართვა ის 190 მეტი ხმა, რომელიც პირველი დუმის არჩევნებში ფედერალისტებს ქონდა—და მეუნარგიასა და თურქიას ისტორია ქალაქის თავის მოადგილის არჩევანზე. ვიწვევთ რედაქციას დაგვირღვიოს ეს ფაქტები.

3. ფოთელმა ფედერალისტებმა სოციალდემოკრატების წინააღმდეგ გაათეთრეს ის კანდიდატები, რომელთაც გააფთრებული ებრძოდნენ წინათ (და ამით ხელი შეუშალეს სოციალისტურ ელემენტების გამრავლებას მესამე დუმაში) საბუთი?—მესამე დუმის არჩევნები. წელს გაათეთრეს ის ნიკოლაძე, რომელიც შარშან რეაქციონერი იყო და, რასაკვირველია, არ ვარგოდა მეორე დუმაში,—და მეუნარგია, რომელსაც მოუნდომეს ქალაქის თავის მოადგილეობაზე გაშავება საკუთარი კანდიდატის, თურქიას წამოყენებით. ვიწვევთ, რედაქციამ დაარღვიოს ეს ფაქტიც.

4. ფოთელი ფედერალისტები მოკავშირეთათვის „მარჯვეთ“ მუშაობდნენ და ზოგი მათგანი შეუფერებლათაც ეპყრობოდა ჩვენს ამხანაგებს. პირველის საბუთი ის არის, რომ, როგორც ფედერალისტებმა, ისე მათმა თანამგრძნობებმაც ერთბაშათ მისცეს ხმა „ვაჭრობის“ მიერ წამოყენებულ კანდიდატებს. ეს ფაქტია, რომლის დარღვევა პირველ პუნქტში მოვსთხოვე რედაქციას—მეორეს საბუთათ ჯერ-ჯერობით მოვიყვანთ ჩვენს წერილში აღნუსხულ უპრაველ ფედერალისტის სიტყვებს (именемъ закона предлагаю освободить комнату). ამ სიტყვებით გამოისტუმრა მან ჩვენი ამხანაგები ოთახიდან, სადაც მათ გარდა კიდევ ბევრი გარეშე პირნი იყვნენ. ესეც ფაქტია! ვიწვევ რედაქციას, გააბათილოს ესეც.

აი, ჩემი წერილის უმთავრესი მოსაზრებანი, დანარჩენი კომენტარიები ან დასკვნებია, მეტი არაფერი. „ისარმა“ მარტო ორი სიტყვა ამოიწერა ჩემი წერილიდან და ისიც თავისებური მიზნით. „ამას მიუმატეთ ადგილობრივი უმუშევრები, რომელთაც ეგერ ახლა (არჩევნების წინ) შეპირდნენ ელევატორზე ახალ სამუშაოს“ და დემაგოგიურათ დასძენს: „ესე იგი, მოიყიდეს მუშებიო“... დიახ, „ისარი“ დემაგოგიურათ მაბეზღებს მუშებთან. ამას გარდა, ნუ თუ არ იცის მან, რომ მუშები ჯერჯერობით მართლა ვერ არიან საკმაოთ შეგნებულნი და ამიტომაცაა, რომ ზოგი „ცრუ სოციალისტები“ და „კონსტიტუციონალისტებიც“ კი მის მოტყუებას ლამობენ: ევედრებიან ოღონდ ხმები მოგვეცი და რა გინდა სული და გული, რომ არ შეგისრულოთ; მზათა ვართ ჩვენი პროგრამა თქვენათ გადავაქციოთო. ოღონდაც რომ ბევრი ყავთ მუშებს ასეთი ნებსითი თუ უნებლიეთი მტრები და ჩვენი მოვალეობაც იმაში მდგომარეობს, რაც შეიძლება დროზე დავანახვოთ მათ პირდაპირი გზით, შეუცდომლათ არაფერი კეთდება მით უმეტეს მასსის გათვითცნობიერება და მისი პოლიტიკური აღზრდა იმდენათ, რომ ის ვეღარავინ მოატყუილოს. ეს გრძელი პროცესია, ისტორიის საქმეა. „მასსა მხოლოდ საკუთარის შეცდომების შედეგებით საწავლულობს“-ო—ამბობს ენგელსი ერთ თავის წერილში,—შეუგნებლობის გამო მუშები ხშირათ ვერ არჩევენ მტრებს მოყვრებისაგან და ადვილათ ეხვევიან მტრის მიერ დაგებულ მახეში. ნამდვილ შეგნებულ და მოქალაქე მუშას ვერც გაუბედავენ მოსყიდვას, მაგრამ შეუგნებელი ხშირათ თავის საკუთარ ძმას და ამხანაგსაც-კი ყიდის. ასეთი შეხედულების ვართ ჩვენ ამ საგანზე და ვიწვევთ „ისარს“ დაამტკიცოს წინააღმდეგი. თუ ვერ შესძლებს, ან არ მოისურვებს, მაშინ ჩვენ უფლება გვექნება მას დემაგოგიც ვუწოდოთ. ამნაირათ „ისარმა“ უნდა დაარღვიოს ზემორე ჩამოთვლილი ფაქტები თუ მოსაზრებანი და მაშინ აშკარა იქნება, ვინ ჭორიკანაობს, ჩვენ და „ჩვენი გზა“, თუ „ისარი“ და მისი თანამშრომლები.

ეს—დე,

მუშათა შორის

დაშნაკცაკანების ოინბაზობა. ამას წინეთ ჩვენ გაზეთში მოთავსებული იყო მოკლე ცნობა იმის შესახებ რომ, თფილისის წყლის გამყვან მუშათა პროფ. კავშირის ბიურო წინადადებას აძლევს ავჭალის წყლის საწმენდ-საქაჩავ სახლოსნოს მუშებს შეუერთდნენ ზემოხსენებულ კავშირს, რადგანაც პროფესიით ერთმანეთს უახლოვდებიან და შეერთებულ მოქმედებაში არის საბუთი შემდეგში მათის ბრძოლის და გამარჯვებისაო. ამის გამო რამოდენიმე დღის წინეთ თფილისიდან წასულან ზემოხსენებული კავშირის ორი წარმომ. ავჭალაში მათ კრებაზე დასასწრებლათ. თურმე ნუ იტყვით, სინამდის თფილისის წარმომადგენლები მივიდოდნენ, ადგილობრივ ავჭალის მუშებს დაშნაკცაკანების ინიციატივით წინასწარი კრება მოუხდენიათ და გადაუწყვეტიათ არ დაუშვან ზემოხსენებული თფილისის კავშირის წარმომადგენლები იმის გულისათვის, რომ შეიძლება იმათ დაგვიმტკიცონ, რომ საჭიროა ერთი პროფესიის მუშების ერთ უპარტიო კავშირში თავის მოყრა—ეს კი ჩვენთვის, როგორც დაშნაკცაკანებისათვის, ხელსაყრელი არ არის, რადგანაც ჩვენ მომხრე ვართ პარტიული კავშირის და ამას გვიბძანებს ჩვენი კომიტეტიცაო. ამისათვის არ დაუშვიათ ისინი კრებაზე და ასეთი „პოლიტიკური ზრდილობით“ დაშნაკცაკანებს უპარტიო კავშირის წარმომადგენლები გამოუსტუმრებიათ. ამნაირათ, არ მიუღიათ წარმომადგენლები იმ უპარტიო კავშირის ორგანიზაციისა, რომლის მუდმივი ხელმძღვანელობითაც იმარჯვებენ მუშები ყოველ დღიურ ხელჩართულ ბრძოლაში ხაზეინებთან.

რათ უფრთხიან დაშნაკცაკანები უპარტიო მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციას? ნუ თუ იმისათვის, რომ ამნაირ უპარტიო კავშირებს მოუპოვებიათ თავისი წევრებისათვის და მათთვისაც გამარჯვება: სამუშაო დროის შემცირება, ჯამაგირების მომატება, უფლებების მოპოვება და სხვა. განა უპარტიო კავშირი არ იყო, რომ აზარიანცის ქარხანაში ორი დღის გაფიცვით მუშებს გამარჯვება მიანიჭა; განა უპარტიო კავშირი არ იყო, რომ ტოლეს საპნის ქარხნის მუშებს ჯამაგირები მოამატებინა; განა ასეთივე კავშირები არ არის, რომ, თითქმის ყველგან იმარჯვებენ ბრძოლაში ხაზეინებთან, სადაც კი ასეთი ყოფილა? როდესაც მუშების გამარჯვება ხდება ამნაირი ტიპის ორგანიზაციით, ნუ თუ ეს გამარჯვება, მხოლოდ, მარტო ს.-დემოკრატ კავშირის წევრებისა არის—თუ ეს საყოველთაო, სხვათა შორის, იმ დაშნაკელებისაც, რომელნიც უფრთხიან უპარტიო პროფეს. კავშირს, თუმცა ყოველთვის მისი მოქმედებით იუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას. ასეთია ფაქტები და მისი დანახვა კი დაშნაკელებს თურმე ჭირივით ეჯავრებათ; ეჯავრებათ მათ ის, რაც მათთვის სასარგებლოა; უფრთხიან ისინი მას, რაც მათ აძლევს უძლეველ შეერთებულ ძალას ხაზეინებთან ბრძოლაში; არ ესიამოვნებათ ის ამხანაგები, რომლებიც მათი გულისათვის ყოველივე სასჯელს სიხარულით შეგებებიან; არ უშვებენ თავიანთ კრებაზე იმ ამხანაგებს, რომლებიც მათთან მისულან ამხანაგურათ ერთი მეორესთან აზრის გასაზიარებლათ, საქმის გასაცნობათ. ყველა ეს ეჯავრებათ. მაშ რა უყვართ მათ? ჯერ-ჯეროობით—გონებით სიბნელე და ნაციონალისტური კარ-ჩაკეტილობა.

მუშა სანდრო

პარტიების ცხოვრებიდან

—ამ დღეებში ბელოსტოკში მოხდა ბუნდის კონფერენცია, რომელზედაც დაესწრნენ 8 ქალაქის ორგანიზაციების წარმომადგენლები. რაიონებში მუშაობის შესახებ გადაწყვეტილ იქნა: 1) გაძლიერებულ იქნას მუშათა თვითმოქმედება ადგილობრივი ორგანიზაციის იაჩეიკებში; 2) გამოყენებულ იქნას შეძლების და გვარათ არსებული კანონმდებლობა თვითგანათლების და სხ. ლეგალურ საზოგადოებათა დასაარსებლათ პარტიის წევრთა და თანამგრძნობთაგან, რათა იქ, კანონის ფარგლების გაფართოებით, გადატანილ იქნას სოც.-დემ. მუშაობის ერთი ნაწილი; 3) გამოყენებულ იქნას არსებული კულტურული საზოგადოებანი და დაარსებულ იქნას ახალი ასეთი საზოგადოებანი მუშათა ფართო მასსაში კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლათ.—ექსპროპრიატორების და ბანდიტიზმის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ისეთი მოვლენებს, როგორიცაა ბანდიტიზმი და კერძო საკუთრების ექსპროპრიაციები, რამდენათაც გამოწვეულია დღევანდელ პოლიტიკურ პირობებით და მათთან მჭიდროთაა შეკავშირებული, დიდი დემორალიზაცია შეაქვთ მუშათა მასსაში და ხშირათ სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიან სოც.-დემ. მოქმედებისათვის,—კონფერენცია საჭიროთ ცნობს ენერგიული ბრძოლა იქნას გაწეული ამ მავნებების წინააღმდეგ და მიღებულ იქნას ამ მიზნით შემდეგი ზომები; 1) გაძლიერებულ აგიტაციის შემწეობით დაცულ იქნას მუშათა მასსა ამ მოვლენის გამრყვნელ გავლენისაგან; 2) აგიტაციისავე შემწეობით მოხსნილ იქნას გავლენა შეუგნებელ მუშებზე, რომელშიაც ბანდიტელების და სხ. გავლენის ქვეშ იმყოფებიან და რომელთაც ჯერ კიდევ შეუძლიათ დაუბრუნდნენ მებრძოლ პროლეტარიატის რაზმებს; 3) ღონისძიება იქნას ნახმარი პროლეტარიატის მასსიდან საბოლოოთ გარყვნილ ელემენტების ჩამოსაშორებლათ; 4) წინადადება მიეცეს მუშებს აქტიური წინააღმდეგობა გასწიონ ხოლმე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათ ბანდიტები ესხმიან თავზე.—პროფესიონალური მოძრაობის შესახებ გადაწყვეტილ იქნა, რომ ყოველი ღონისძიება იქნეს ნახმარი ახალ პროფ. კავშირების დასაარსებლათ და არსებულთა ხელის შესაწყობათ, ენერგიული ზომები იქნას მიღებული პროფ. კავშირების ლეგალიზაციისათვის და დავალოს ორგანიზაციის ყველა წევრებს შევიდნენ პროფ. კავშირებში.

შრომის ჯგუფის ც-მა კ.-მა განიხილა კითხვა ბოროდინის მიერ დაარსებულ საგლეხო პარტიის შესახებ. ამ პარტიაში შედის 30—40 ათასამდე წევრი. ამ ბოლო დროს იგი სულ უფრო შრომის ჯგუფისაკენ იხრება, მაგრამ სურს დაიცვას თავისი დამოუკიდებლობაც. დადგენილ იქნა, ნება მიეცეს ხსენებულ პარტიას შევიდეს შრომის ჯგუფში ავტონომიურ საფუძველზე. საგლეხო პარტიის კომიტეტი გაგზავნის ერთ თავის წევრს შრ. ჯგ-ის პეტერბურგის კომიტეტში.

რუსეთის ამბები

ყოფილი დეპუტატის დაპატიმრება. სიმფეროპოლში დაუპატიმრებიათ მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი შჩერბინა, რომელსაც ბრალდება გლეხებში აგიტაციის გაწევა არჩევნებში მონაწილეობის წინააღმდეგ და მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვის წარმოთქმა.

კადეტები და სტოლიპინი. მინისტრ-პრემიერი სტოლიპინი ამ ჟამათ თურმე დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს კადეტებსა და ოქტომბრისტებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას. უეჭველია, რაც კი გაზეთებში იბეჭდება ამის შესახებ და რასაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს სჯა-ბასთან კადეტების

მერე რა ვუყოთ? აბა რიღასი მამა ყოფილა და რაღათ დადვა თქვენზე ამდენი ამაგი, თუ ხმა-მაღალი სიტყვაც ვეღარ გაგიბედათ!

ლიზა. დედაჩემო, ახლა მაგისი დრო არ არის.

მაკრინე. სულ შენი ბრალია, ქალბატონო, შენი. ევროპაში მოისურვა გასეირნება! გათხოვდი და საცა გინდა იქ ისეირნე. გაუთხოვარი ქალის მამის სახლიდან წასვლა მე არ გამიგონია.

ლიზა. მე შემეცოდე, დედაჩემო, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ არც შენ ყოფილხარ სიბრალულის ღირსი. ენის მიტანა არაფერი ხელობაა.

მაკრინე. აბა, ერთი მითხარი, სად გაგონილა, რომ გაუთხოვარი ქალი მამის ოჯახიდან წასულიყოს? თუ სადმე მომხდარა, მითხარი. სასმელი დაგაკლდა, საჭმელი, ტანი, ფეხი, ერთი თუ მეორე? (შემოდის ზაქარია პეპლების საჭერი ბადითა და პატარა კოლოფით ხელში).

ზაქარია. ერთი გარეთ გაიხედეთ! ბუნება გაბრწყინებულია, მხიარულია, თქვენ კი დაღვრემილი ხართ. დიადი სურათი, სურათი ბუნებისა ყველას თავისკენ იწვევს, თქვენ კი ოთახში ჩამჯდარხართ და დამხშვალი ჰაერით საზრდოობთ იმის მაგიერ, რომ გარეთ გახვიდეთ და ბუნების მშვენიერებით დასტკბეთ.

ლევანი. მე გთხოვ, რომ თავი დამანებო და მაგ შენი მშვენიერებიანათ მომშორდე, თორემ ისედაც ლამის სული ყელში მომებჯინოს.

ზაქარია (შეჩერდება რამოდენიმე ხანს) მაგრამ ამ მშვენიერებასაც შეგნება უნდა. აღზრდა, ესტეტიკური აღზრდა დიადი რამ არის; აი ახლა მე ისევე პეპლების დასაჭერათ მივდივარ. მალე ჩემი კოლექცია... (ამ დროს ბრაზმორეული ლევანი წამოვარდება, პეპლების საჭერ ბადეს ხელიდან გამოგლეჯავს და გადაისვრის, ზაქარია თვალებ დაჭყეტილი შეჩერდება).

ლევანი. შენ, ბიძა ჩემო, სულელი ხარ, სულელი (დაიწყებს აღელვებული ზალაში სიარულს. ზაქარია ზალისკენ წავა, აიღებს და კარებისაკენ წავა ლაპარაკით).

ზაქარია. გადარეულა! სწორეთ გადარეულა. დღემდის კიდევ იმედი მქონდა, რომ ჩემის შრომის დაწერაში დამეხმარებოდა, აწი კი (ორივე ხელებს ჩააქნევს) წასულია ხელიდან (გადის).

მაკრინე. შვილო, რაც უნდა იყოს, ბიძაა შენი და შენგან მაგისთანა სიტყვა არ ეკადრება.

ლევანი. დედაჩემო, თავი დამანებე, რითი ვერ გაიგე, რომ შენ მე ჭკუას ვერ მასწავლი, ისე როგორც მე ვეღარ გასწავლი! ამიტომ ჩემ საქმეში შენ ნუ ერევი (მაკრინე შეაჩერდება, თავს გააქნევს. გაბრუნდება კარებისაკენ).

მაკრინე (თავის ქნევით). აი ღმერთმა კი დასწყევლოს, ვინც ზაგრანიცა მოიგონა. ვინც იქ მოიარა, ერთს ჭკუა აღარ მოყოლია! (გადის).

ლიზა. ლევან! წავიდეთ აქედან; შენი აქ დარჩენა ყოვლათ შეუძლებელია (ლევანი წერილს გადასცემს სონას მიერ მოწერილს).

ლევანი. წაიკითხე ეს და შენ თვითონ მითხარი, შეიძლება თუ არა ჩემი აქედან წასვლა? (დადის, ლიზა წერილს კითხულობს და თანდათან სახე ეცვლება. შემდეგ წერილს ჩუმათ უკან უბრუნებს). წავიდე! მერე რითი? ჯაშუშის სახელით? მე არა თუ ვერაფერი გავაკეთე, ჯაშუშის სახელიც მოვიხვეჭე. (დადის) არა, ჩემი აქედან წასვლა ყოვლათ შეუძლებელია.

ლიზა. მაშ, რა უნდა ჰქნა, მითხარი?

ლევანი. მე უნდა დავუმტკიცო მათ, რომ ისინი სცდებიან, რომ მე ჯაშუში კი არა, მათი ნამდვილი მეგობარი, მათი ამხანაგი, მათი მოკეთე ვარ.

ლიზა. ამ სახლიდან შენ მგას ვერ დაუმტკიცებ. წავიდეთ აქედან, იცხოვრე მათთან ერთათ და მაშინ გენდობიან, მაშინ გაგიცნობენ ისინიც, მაშინ დარწმუნდებიან, რომ შენ მათი მოკეთე ხარ.

ლევანი. შენ იქნება გგონია, რომ მე აქედან წასვლა მენანებოდეს! როდის იქნება ის დღე, რომ ამ დაწყევლილ ოჯახს სამუდამოთ განვშორდე, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩემი შეცდომა მაკავებს: ჯერ მე მამიჩემის ხელში ვარ; მათი განთავისუფლება მხოლოდ მამა ჩემს შეუძლია და, მე თუ აქედან წავედი, არა თუ მათს განთავისუფლებას არ მოინდომებს, პირიქით, სხვებსაც დააჭერინებს (საათს დაჩერებია). წავიდეთ, ბაღში გავიაროთ; გული დაწყნარდება პატარა!

ლიზა. ლევან, ჩემი აქ მოცდა შეუძლებელია აწი: მე დარწმუნებული აღარა ვარ, რომ თუ დღეს ხელით გამომათრია, ხვალ კოჩორში არ წამწვდება და ხელს არ შემახებს; დღესვე უნდა გავიპარო პირველი მატარებლით, და სადაც გავჩერდები, წერილით გაცნობებ.

ლევანი. (დაფიქრებული) მაშ, საბოლოოთ გადაწყვეტილი გაქვს წასვლა?

ლიზა. საბოლოოთ.

ლევანი. მოფიქრება უნდა, ჩემო კარგო! (მიიხედ-მოიხედავს) ბაღში გავიდეთ; მოვიფიქროთ კარგათ; ავწონ-დავწონოთ ყოველისფერი (გადიან, სცენა რამოდენიმე ხანს ცარიელია შემდეგ შემოდის გიორგი და შუაკარებიდან მაკრინეს ელაპარაკება, რომელიც სცენაზე არ სჩანს).

გიორგი. შენი ბრალია სულ, დიახ, შენი. გაასულელე და ახლა მაგათაც თავს გაუვიდათ.

მაკრინე. (მეორე ოთახიდან) მართლა რომ გაიპაროს, რაღას აპირობ მაშინ? ხომ მოგვეჭრა თავი?

გიორგი. (გულმოსული, მაღალის ხმით) თუ გაიპარება, კისერიც უტეხია (კარებს მოიხურავს და ზალაში დაიწყებს სიარულს) სადაც უნდა იქ წავთრეს. იქნება ჰგონია, რომ უკან გამოუდგები, ხვეწნას დაუწყებ! (რამდენიმე ხანს ჩუმათ დადის, შემდეგ სავარძელში ჩაჯდება) ვინც მე არ გამიტანს, არც მე გავიტან. თუ შვილი მე შემელევა, განა მე კი ვერ შეველევი ამისთანა შვილს? ჩემი სიცოცხლე ჩემის ჭკუით მივლია და სიბერის დროს მე სხვისი ჭკუით არ ვივლი (სიჩუმე, ზარის ხმა ისმის და რამოდენიმე ხნის შემდეგ შემოდის სვიმონი, ხელს ართმევენ ერთმანეთს).

გიორგი. ხომ არაფერი მომხდარა მაგისთანა, აშფოთებული სახე რომ გაქვს?

სვიმონი. ნუ თუ არაფერი არ გაგიგია? მთელ ქალაქში მუშების გაფიცვა დაიწყო. სრულებით მოულოდნელათ დღეს ჩემს ქარხანაში მუშაობას თავი დაანებეს, დირექტორს რომ სახლში არ შეესწრო, კინაღამ სცემეს. ახლა ყველა ბაღისკენ იკრიბება მიტინგის გასამართავათ.

გიორგი (წამოხტება). ნუ თუ ჩემი მუშები გაბედავენ გაფიცვას?

სვიმონი. მუშების საერთო გაფიცვაა მეთქი.

გიორგი. მაინც გაბედეს! მაინც გაბედეს! (დადის ოთახში) არა, ყოვლათ შეუძლებელია! მე არა მჯერა, რომ ჩემი მუშები გაიფიცონ. იმის შემდეგ, რაც მე მათი მეთაურები დავაჭერინე, ისინი ვეღარაფერს ვეღარ გაბედავენ!

სვიმონი. შენ მაგაში დარწმუნებული ხარ, რომ ვეღარაფერს გაბედავენ?

გიორგი. დარწმუნებული ვარ.

სვიმონი. მე კი მგონია, რომ გაბედავენ. შენ მუშებს რომ არ გაებედნათ, ჩემი ხმას არ ამოიღებდნენ.

გიორგი. მუშები ისე ატროკდნენ, რომ სისხლის გამოშვება უნდათ. მაშ კარგი! გამოუშვათ (შემოდის ამ დროს სპირიდონი აღელვებული)

სპირიდონი. ბატონო გიორგი, მიშველეთ, წვრილი ცოლშვილი, ჩემი ბალღები შეიბრალეთ, ულუკმაპუროთ დარჩებიან, შიმშილით დაიხოცებიან.

გიორგი. რა მოხდა? რა ამბავია? არაფერი არ მესმის.

სვიმონი. რა დაგემართათ!

სპირიდონი. მუშებმა სამჯერ მესროლეს რევოლვერი, მარა რაღაც განგებით გადავრჩი. კარებში შევასწარი და შემდეგ აქეთ გამოვიპარე, თორემ კარებს ჩაამტვრევდნენ და იქავე მომკლავდნენ.

გიორგი. მერე რას გერჩოდნენ? რისთვის გესროლეს?

სპირიდონი. ეს სამი დღეა, რაც მუშებში რაღაც მზადება იყო. ჯერ ჯგუფ-ჯგუფათ ბაასობდნენ და თათბირობდნენ. დღეს დილით მოვიდნენ თუ არა მუშაობისთვის ხელი არ მოუკიდიათ, შეიკრიბნენ ეზოში და ერთმა მიმართათ; ამხანაგებო! ჩვენი მტარვალები დღითიდღე იკრებენ ძალას და ყოველგვარ საზიზღარ ზომას ხმარობენ, რომ ჩვენი სისხლით გაძღნენ. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ საერთო გაფიცვა. აქედან ბაღში უნდა შევიკრიბოთ, იქ შემოგვიერთდებიან ყველა ამხანაგები და დემონსტრაცია უნდა გავმართოთო. მე გამოვედი და მივმართე მათ რჩევით. მაგრამ მიყვირეს, ლანძღვა დამიწყეს და ბოლოს ერთმა რევოლვერი მესროლა. მე თავს ვუშველე და აქ მოგაშურეთ. იმათ კი იქაურობა სულ მილეწ-მოლეწეს.

გიორგი. მილეწ-მოლეწა როგორ უნდა მე ვაყურებინებ. ახლა ისინი ბაღში წავიდნენ?

სპირიდონი. დიაღ, ჯერ არ წასულან, მაგრამ იქ აპირობენ წასვლას. სხვა ქარხნების მუშებიც იქ იქნებიანო. ნამეტანი ამხედრებული არიან.

სვიმონი (გიორგის). აკი გითხარი?

და ოქტომბრისტების შეერთების შესახებ. შორიან გაზეთებიდან და უდგენენ სტოლიპინს, რომელიც „როსიის" რედაქტორ გურლიანდთან ერთათ გულდასმით კითხულობს შველაფერს. თითონ სტოლიპინი შეერთების მომხრეა, მაგრამ ბიუროკრატიის უმეტესი ნაწილი კი ძალიან უკმაყოფილოა საქმის ასეთი მიმართულებით. ეს უკმაყოფილება უკვე გამოიხატა იმით, რომ ბიუროკრატებმა უკვე კრიტიკა დაუწყეს ოქტომბრისტებს. შესაძლებელ შეერთების გამო სტოლიპინს საუბარი ქონია ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეებთან.

როგორ მიეგებიან დუმას? მთავრობის სფერებში ამჟამათ ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ მიეგებონ მომავალ დუმას. რადგან ის რწმენა მეფობს, რომ დუმა ზომიერი იქნება, ამის გამო უმრავლესობა თხოულობს ისეთივე ამბით მიეგებონ მესამე დუმას, როგორც პირველს მიეგებენ. ამ კითხვის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიმართოს მიგებება, ორნაირი აზრი ტრიალებს: ერთნი საჭიროთ ცნობენ მიეგებონ დეპუტატებს „ზიმნი დვორეც"-ში, სადაც პირველ დუმის დეპუტატები მიიღეს, მეორენი კი უკეთესათ ცნობენ მიეგებონ „ცარსკოსელსკი დვორეც"-ში. სტოლიპინიც მომხრეა სადღესასწაულო მიგებების.

მეორე დუმის დეპუტატს ეპისკოპოზ ევლოგის სინოდმა შეატყობინა, რომ მას შეუძლია წავიდეს პოლონეთში მცხოვრებთა შესაკავებლათ კათოლიკობის მიღებისაგან მხოლოდ იმ პირობით, თუ ის იქ აგიტაციას არ გასწევს „რუს. ხალხის კავშირის" სასარგებლოთ.

მზვერავ პოლიციის ჟურნალი. პეტერბურგში მზვერავ პოლიციის უფროსს განზრახვა აქვს გამოსცეს ჟურნალი, რომელსაც მიზნათ ექნება პოლიციური დაზვერის („სისკის") კითხვების შემუშავება.

ევროპა რუსეთის ფინანსების შესახებ. საზღვარგარეთიდან დაბრუნდნენ ახალ ხორდოვის რკინის გზის გამყვანი კაპიტალისტები, რომლებმაც მოიარეს ავსტრია, ინგლისი და საფრანგეთი, სადაც ცდილობდნენ ესესხათ 15 მილიონი მან. გზის დასამთავრებლათ. მათმა მეცადინეობამ ამაოთ ჩაიარა. მათი სიტყვით, ავსტრიის და ინგლისის ფინანსიური წრეები ძალიან პესიმისტურათ უცქერიან რუსეთის უახლოეს ეკონომიურ მომავალს და გადაჭრით უარს ამბობენ რუსულ წარმოებაში დააბანდონ თავიანთი კაპიტალები. ავსტრიელ მწარმოებლებს განუცხადებიათ— რუსეთის მიერ კრედიტის მოსაპოებლათ აუცილებელი პირობაა—სრულ-უფლებიანობა მიანიჭოს ებრაელებს: ხოლო ავტონომია—პოლონეთს. ინგლისელები რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას უწოდებენ „დარაზმულ ანარქიას" და აცხადებენ, რომ მათ არა თუ არავითარი სურვილი არა აქვთ ფული ასესხონ რუსეთის მწარმოებლთ, არამედ ამ ჟამათ ცდილობენ უკან დაიბრუნონ ის თანხებიც, რომლებიც მათ აქამდე დაუბანდებიათ რუსეთის წარმოებაში. საფრანგეთში რუსეთის მწარმოებლებს ცოტა უფრო თავაზიანათ მიუღიათ, მაგრამ ვერც იქ ვერაფერს დაპირებიან.

მუშათა შორის

ქ. ეკატერინოდარში ელვერტის დიდი ქარხნის მუშებმა გამართეს საპროტესტო მიტინგი პირველ საჭიროების საგნების უზომოთ გაძვირების წინააღმდეგ. მუშებმა წარუდგინეს ქალაქის თავს მოთხოვნები შესაფერ ზომების მიღების შესახებ. ამის გამო მოწვეული იყო სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების საგანგებო თათბირი.

კონფერენციის დატუსაღება. ამ დღეებში მოსკოვში შეიკრიბა მოსკოვის სამრეწველო რაიონის პროფ. კავშირთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 20-ზე მეტი დელეგატი. პირველ სხდომის შემდეგ მეორე დღესვე მთელი კონფერენცია დატუსაღებულ იქნა.

სიეზდის აკრძალვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირების და საზოგადოებათ სრულიად რუსეთის მეოთხე სიეზდის გამართვაზე. რადგან ეს უარი არაფრით დასაბუთებული არ არის, ამის გამო საორგანიზაციო კომისიას გადაუწყვეტია გაგზავნოს პეტერბურგში დეპუტაცია მინისტრპრემიერთან პირის-პირ მოსალაპარაკებლათ.

სოფლათ

ვორონეჟის გუბერნიაში მემამულეს სავინს დაქირავებული ჰყავდა ჩერქეზები მამულის დასაცველათ. ამ დღეებში სავინმა ჩერქეზებს დათხოვნა დაუპირა, მაგრამ მათ პროტესტი განაცხადეს და დაემუქრნენ—გავჟლეტთ ადგილობრივ გლეხებსო, რომლების ჩივილითაც მათ ითხოვენ. ჩერქეზების დასაცხრობათ დაიბარეს კაზაკები, რომლებსაც ჩერქეზები აგრეთვე იარაღით დაემუქრნენ. ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა ძალით აეყარა მათთვის იარაღი და გაგზავნა სამშობლოში.

წერილი რედაქციის მიმართ.

ზოგი ამხანაგი საყვედურს მიცხადებს, ზოგიც უკმაყოფილებას: რათ თანამშრომლობ „ნიშადურში", რომელიც სოციალ-დემოკრატიის სალანძღავ წუმპეს წარმოადგენსო.

ჩემი ვოდევილი დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ არსად დამიბეჭდია, რადგანაც საგაზეთო ის არ იყო ჩემის აზრით, როდესაც „ნიშადური"-ს ორიარება წავიკითხე და პირველი ორი ნომერი გავიცანი, იმედი მომეცა, რომ ეს ჟურნალი არავითარი პარტიული სიძულვილით არ იხელმძღვანელებდა და იუმორს ლანძღვაზე არ გასცვლიდა. ამიტომ გავუგზავნე მას ჩემი ვოდევილიც. მაგრამ მოვსტყუვდი: „ნიშადურის" თანამშრომლებს ს.-დემოკრატიის ლანძღვის მეტი აღარა აგონდებათ რა. ამგვარ თანამშრომელთა შორის, ცხ. დია, მე ალაგი არ მეკუთვნის და ჩემი თანამშრომლობაც ამ ვოდევილით დამთავრდება.

ივ. გომართელი

—

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში.

რადგანაც რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი უკან სდგას დღეს, შედარებით სხვა მაზრებზე სწავლა-განათლების მხრივ, და თუ შეიძლება ასე ითქვას, რომ ჯეროვან ყურადღებას არავინ არ აქცევს მას რომ ამ კუთხეში შეიტანონ სინათლე, ამიტომ ჩვენ ზემორე ხსენებულ მაზრების მკვიდრნი, დროებით თფილისში მყოფნი და მომუშავენი, რაოდენიმე პირნი შევიკრიბნეთ ერთათ და ერთხმათ დავადგინეთ, შესდგეს, რაც შეიძლება, საჩქაროთ, შემდეგი სახელწოდებითი ნებადართული საზოგადოება: „რაჭა-ლეჩხუმ და სვანელ მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლების გამავრცელებელი ამხანაგობა".

ამ ამხანაგობას მიზნათ ექნება:

ა) გახსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ბ) დროის შესაფერი შკოლები, გ) წიგნის მაღაზიები, დ) შეიძინოს ადგილობრივ მკვიდრთათვის შრომის აუცილებელი და საუკეთესო იარაღები, მაგალითათ მანქანები და სხვა.

ამ ამხანაგობის წევრებათ შეუძლიათ იყვნენ ყველა ზემორე ხსენებულ მაზრების მკვიდრნი, განურჩევლათ სქესისა და რწმენა-მიმართულებისა, რომელნიც კი იქნებიან ხალხის კეთილდღეობის გამომხატველნი. საწევრო პაი თითოეულ წევრზე იქნება 10 მ. წლიურათ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ ჯერ-ჯერობით ქ. თფილისში, „ნიკოლოზის მოედანი" მეპურეთა ფქვილების საწყობ კანტორაში.

ამხანაგების მონდობილებით ევგ. დვალი.

—

უმორჩილესათ ვსთხოვ „ჩვენი გზის" რედაქციას, რომ მათი გაზეთის საშუალებით შეძლება მომცეს უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ ზნეობრივისა და ნივთიერი დახმარებისათვის, რომელიც მე გამიწიეს წელს ბაკურიანში ავათმყოფობის დროს. მადლობას ვსწირავ ანნა სტანისლავას ასულს მგელაძისა-სოლოღაშვილს, პელაგია ლომინაძისა-დუმბაძეს და რაისო სოლომონის ასულს თოხაძისა-დუმბაძეს; ამ პირებმა გადმომცეს თავიანთ ნაცნობთა შორის მოგროვილი 49 მ. 35 კ., რისთვინაც ულრმეს მადლობას უცხადებ როგორც მათ, აგრეთვე იმ პატივცემულ პირთაც, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი. ჩემზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა, რისთვინაც ბოდიშს ვითხოვ ხსენებულ პირთა წინაშე.

გერონტი ტუსკია.

—

P. S. ენკენისთვის პირველ რიცხვებში კიდევ მივიღე ს. აცანაში ანნა სტანისლავას ასულის მგელაძისა სოლოღაშვილისაგან ექვსი მანეთი, რისთვინაც კვლავ მადლობას ვუცხადებ, როგორც შემომწირველს, ისე ქ-ნ მგელაძისა-სოლოღაშვილს.

გ. ტ.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

10 ოქტომბერი

პეტერბურგი. უმაღლესი ნებართვით განსაკუთრებული სამხედრო-საზღვაო სასამართლო განიხილავს იმ საქმეებს, რომელიც აღმოაჩინა გამოძიებამ საიმპერატორო იახტა „შტანდარტის" კლდეზე დაჯახების გამო.

ორიოლი. რკინის გზის სადგურზე მატარებელში ჩაჯდა ექვსი მძარცველი. დანიშნულ ადგილს, მათ გააჩერეს მატარებელი და იქ დამხვდურებთან ერთათ ასტეხეს სროლა. სულ იყო 15 კაცი. ვაგონს ქვეშ შეგდებული ჟუმბარა აფეთქდა და დასწვა მეორე კლასის ვაგონი. მატარებელში მიდიოდა მალცევის ქარხნის მოურავე, რომელსაც მიქონდა 60000 მანეთი. ცეცხლი ჩააქრეს. ფულები ვერ წაიღეს. მოკლულია ორი მგზავრი. პოლიციამ დაიჭირა 2 დამნაშავეთაგანი და რამოდენიმე უცნობი. იქვე იპოვეს აუფეთქებელი ჟუმბარა. ვიცე-გუბერნატორი, რომელიც მატარებლით მიდიოდა, უვნებლათ გადარჩა.

ტირასპოლი. ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ხუთი გლეხი, რომლებსაც ცხენის ქურდი ცოცხლათ დაემარხათ მიწაში.

ომსკი. ხოლერით ავათ გახდა 1 კაცი, მოკვდა 2.

ეკატერინოსლავი. ვერხნეუდინსკში ავათ გახდა ხოლერით 4, მოკვდა 2; მარიუპოლში ავათ გახდა 4, მოკვდა 1.

სემიპალატინსკი. ავათ გახდა ხოლერით 2 კაცი, მოკვდა 2.

ტომსკი. მთელ გუბერნიაში ავათ გახდა ხოლერით 8 კაცი, ამათგან გარდაიცვალა 7.

ეკატერინოსლავი. ქალაქში ავათ გახდა 5 კაცი.

პენზა. გუბერნიაში ავათ გახდა ხოლერით 17 კაცი, მოკვდა 13.

კიევი. 9 ოქტომბერს ქალაქში ავათ გახდა ხოლერით 34 კაცი, ამათგან გარდაიცვალა 18. მაზრებში კი ავათ გახდა 30 და მოკვდა 17 კაცი.

სამარა. 9 ოქტომბერს გახსნეს საგუბერნიო საკრებულო, საგუბერნიო საერობო გამგეობა, და აგრეთვე დამხდგვეი და საგზო განყოფილებანი საერობო ორგანიზაციების. საგუბერნიო საკრებულოში დაატყვევეს 5 კაცი, ხოლო უპრავაში 2.

პეტერბურგი. მეასტერთა სახლში განიხილა საკითხი სასამართლოს მოსამართლეთა საკითხის მომატების შესახებ და დაადგინა: ეს საკითხი გადაეცეს განსახილველათ მესამე დუმას.

მოსკოვი. კოლომენის მაზრაში, 16 მაგალითი იყო ხოლერისა, რაც უკვე სიკვდილით დასრულდა.

ლოძი. მეპურეებმა ლოკაუტი გამოაცხადეს. მიზეზი ის არის, რომ მუშებმა არ ისურვეს მიღების დროს მოწმობების წარდგენა თავისი ვინაობის შესამოწმებლათ.

სამარა. მთელს გუბერნიაში ხოლერის გაჩენიდან მოკვდა 326 კაცი.

ტობოლსკი. კიდევ დარჩა 26 ხოლერით ავათმყოფი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მთელ გუბერნიაში ხოლერის გაჩენიდან ავათ გახდა 483 კაცი და მოკვდა 229.

ვოლოგდა. დღეს იყო 5 გრადუსი სიცივე.

პეტერბურგი. გაზეთი „რუს"-ის რედაქტორი კრამოლეი დაჯარიმებულ იქნა 1000 მანეთით გრადონაჩალნიკის მიერ სავალდებულო წესების დარღვევისათვის.

ბერლინი. ნაციონალისტ ნემეც მუშათა მეორე კონგრესზე წაკითხულ იქნა იმპერატორ ვილჰელმის დეპეშა, რომელიც ულოცავს პატრიოტ მუშებს ესეთ გაძლიერებას და უსურვებს კონგრესს ნაყოფიერ მუშაობას.

სიმბრისგამნ. გემი „ლიტუსია" რომელზედაც 795 მგზავრი იმყოფება, ქვას დაეჯახა და შეინგრა, ტრიუმში 14 ფუტის სიღრმე წყალი სდგას. კოპენგაგენიდან საშველათ გამართა 4 გემი.

თეირანი. გუშინ შახმა მიიღო მეჯლისის თავმჯდომარე და ხელი მოაწერა უქაზს კაბინეტის გადაყენების შესახებ. ახალი კაბინეტი ჯერ არ შემდგარა. შირაზიდან ახალი არეულობის ამბები მოდის. მოლლაირის ოლქიდან და ქალაქ ზენჯანიდან იუწყებიან გუბერნატორების შეურაცხყოფის შესახებ.

ქრისტიანია. რუსეთის ესკადრა ზღვაში გავიდა.

ვენა. იმპერატორი ფრანც იოსების ჯანმრთელობა თანდათან უმჯობესდება.

რედაქტორ-გამომცემელი

იოსებ ზ. გიორგობიანი

განცხადებანი

Требуется

ПОДДЕРЖАННЫЙ

Электро-маторъ

Спросить въ типографіи «Сорапань».

(სპირიდონს) არაფერია, მათი განცლება ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით.

გიორგი (გულმოსული). ის ერთი რაგვარია, სიტყვა რომ უთქვამს? სხვები რომ დავაპატიმრეთ, ის როგორღა გამორჩა? სულ იმის ბრალი იქნება ეს საქმე, თორემ მუშები ვერაფერს ვერ გაბედავდენ. რამდენს გეხვეწებით, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეთ, რომ ყველა მეთაურები ამოარჩიოთ და ახლა თქვენი წამხდარი საქმე უნდა ვასწორო (დადის).

სპირიდონი. მე რომ თქვენი ერთგული არ ვიყო, მუშები რას მერჩიან?! და თუ სასიკვდილოთ აღარა მზოგავენ, იმიტომ, რომ მე თქვენს ინტერესებს ვემსახურებოდი. იმ ორატორს დღემდე ხმა აღარ ამოუღია მუშებში, და რანაირათ უნდა მიმეცა ჟანდარმისათვის ხელში?

სვიმონი. ბიძაჩემო! მეთაურები ახლა რამდენიც უნდა დააპატიმროთ, ახლები გაჩნდებიან. დაგვიანება აღარ ვარგა. ახლავე გუბერნატორთან უნდა წავიდეთ.

გიორგი (სპირიდონს). თქვენ ახლავე ჟანდარმის პოლკოვნიკთან გასწიეთ და შეატყობინეთ, რაც მოხდა (სვიმონს) აბა წავიდეთ! (ზარს რეკავს. მოსამსახურე შემოდის). კარეტა მოაყენონ! (მოსამსახურე გადის).

სპირიდონი. (გიორგის) ბ-ნო გიორგი! თქვენი ახლა აქედან წასვლა ყოვლად შეუძლებელია. მუშები აქეთ გამოივლიან და, მაპატიეთ რომ გეუბნებით, შესაძლებელია, რამე გკადრონ. ისინი ისეთი ხალხია, რომ მათგან ყოველისფერი მოსალოდნელია.

გიორგი. მე რომ მათი მეშინოდეს, გიორგი დიდებულიძე აღარ ვიქნები (გადიან სპირიდონის გარდა).

სპირიდონი (კარებამდე მიაცილებს). მეც ახლავე წავალ ჟანდარმის პოლკოვნიკთან. (კარებს მიხურავს, გამოტრიალდება და დაფიქრებული გაჩერდება ერთ ალაგას). ორ სკამზე ვიჯექი: მუშების გულიც მინდოდა მომეგო, ამ ლორისაც მაგრამ ვერც ერთისა კი ვერ მოვიგე. (პაუზა) სამაგიეროთ სამოცი ათას მანეთს მოვუყარე თავი. ასი ათასამდე რომ მაინც ამეყვანა, კარგი იყო, მაგრამ დიდი დაბრკოლება გადამეღობა წინ და იმდენათ სულელი არ ვარ, რომ ფულს თავი გადავატანო. მეტი აქ დარჩენა შეუძლებელია. აწი გიორგისაც, ჟანდარმებ! აც და მის მუშებსაც თავში ქვა უხლიათ (წასვლას აპირობს, მაგრამ შემოდის ამ დროს მაკრინე).

მაკრინე (ხელს ჩამოართმევს). ბ-ნო სპირიდონ! მითხარით, რა ამბავია? ქალაქში რაღაც არეულობაა, მუშები ბუნტობენო. რა ღმერთი უწყრებათ ამ მუშებს? ერთი მითხარით, რა ეშმაკები უნდათ?

სპირიდონი. ყველას კარგი ცხოვრება უნდა, ქ-ნო მაკრინე! მუშებსაც კარგი ცხოვრება უნდათ.

მაკრინე. მერე განა ცუდ ცხოვრებაში არიან? სახლში მჭადი არა ჰქონდათ საჭმელათ და აქ პურსაც აღარ კადრულობენ. მანეთზე ნაკლებს დღეში არავინ არ იღებს და ბევრს ორი მანეთიცსაქვთ. ორ მანეთათ სულ არ ღირს პირ-მოთუთხნული მუშა.

სპირიდონი. მეტი ვის გადუყრია? ქონება ვის მოჭარბებია?

მაკრინე. იცით ბ-ნო სპირიდონ! ორ მანეთს რომ მუშებს აძლევთ, სულ ამან წახდინა საქმე. სოფლის ყაზახი რომ დღეში ორ მანეთს აიღებს, რასაკვირველია, გადაირევა და გამეტიჩრდება, ერთი რომ ლოთობას მიყოფს ხელს, რაკი ფული ჯიბეში მოუგროვდება და მერე კარგათ რომ ჩააცვამს და დაიხურავს, თავისი მეკაკობა დაავიწყდება, მაშ!

სპირიდონი. საქმე ძალიან გამწვავებულია. დღეს მე რევოლვერით გამომეკიდენ და კინაღამ მომკლეს; ერთი ბეწვით გადავრჩი. თქვენ ქმარსაც ასე ემტერებიან და ის კი ცოტა ამაყი და თავის ნების კაცია. ჩემი არაფერი ჯერა და შეუჩდით, თორემ თავს გაიფუჭებს. თქვენი ვაჟი მუშებს ძალიან უყვართ; ჩააბაროს იმას ფაბრიკა და თვითონ მოისვენოს.

მაკრინე. განა ჩემ ქმარსაც ემდურიან მუშები?

სპირიდონი. ემდურიან კი არა, მეშინია, რომ არაფერი აუტეხონ.

მაკრინე. ერთი უყურეთ ამ სულელებს! რატომ ვერ ხედავენ ის ტუტუცები, რომ იმათთანა პატრონი სხვა მუშებს არც ერთ ფაბრიკაში არა ყავს? ბარე ექვს ალაგას მარტო პაჩოტნი ჩლენათა და პაპეჩიტელათ არის, ამას წინეთ გიმნაზიის დირექტორი თავისი ფეხით მოადგა, პოჩოტნი პაპეჩიტლობა თხოვა. სანამ არ დაიყოლია, არ მოეშვა.

სპირიდონი. თქვენისთანა ქმარი არა თუ ჩვენს ქალაქში, მთელს ჩვენს ქვეყანაში ქალს არა ჰყავს. მაგისთანა კაცი მარტო ოჯახისთვის კი არა, ქვეყნისათვის არის საჭირო, ქვეყნისთვის, სწორეთ ამიტომ უნდა მოვლა და ყურის გდება. იმას არა აქვს დრო, რომ თავის თავისთვის იზრუნოს. სამაგიეროთ თქვენ უნდა იზრუნოთ. (ხელს ართმევს და გადის)

მაკრინე. ჩემი ნება რომ იყოს, იმ მუშებს სულ წყალზე და მარილზე დავაჯენ, რომ ჭკუა ისწავლონ! სპირიდონმა მართალი თქვა: ლევანს ჩააბაროს ფაბრიკაო, იმისთვისაც კარგია: საქმე რომ არა აქვს, მიტომ არის ასე აღრეწილი და აქეთ-იქით დარბის. (კარი გაიღება, შემოდის ლევანი, ფანჯარასთან დაჯდება, მაკრინე მიუახლოვდება ლევანს) იცი შვილო, რას გეტყვი? ამაზე ვფიქრობდი, შენხელა შვილი ოჯახს უნდა გამოადგეს. მამაშენს თუ რამე აქვს, შენთვის აქვს. თქვენ ორ შვილს შამოგყურებთ და ეს არის. მო ხადე შვილო მამაშენთან ბოდიში, შეურიგდი, იმასაც იამება, გული მოუბრუნდება შენზე, ფაბრიკას ჩაგაბარებს, ის დაისვენებს და შენც საქმე გექნება.

ლევანი. (ზეზე წამოდგება და გაპრუნდება) არასოდეს, დედაჩემო, არასოდეს! საბოდიშო მასთან მე მასთან არაფერი მაქვს. პირიქით, იმან უნდა მოიხადოს ჩემთან ბოდიში; მისი წყალობით საუკეთესო ამხანაგები მე ჯაშუშს მეძახიან!

მაკრინე (გააწყვეტინებს) მერე რა ვუყოთ შვილო?! რამდენიც უნდათ იმდენი გიძახონ! შენ ამით რა დაგაკლდება? შურსთ შვილო, შენი ყველაფერი, შურსთ და იმიტომ გიძახიან!

ლევანი. შენ რა გესმის, დედაჩემო! შენ და მამაჩემს ფული ყოველისფერს გირჩევნიათ, ფულით სახელს ყიდულობთ, მე კი პატიოსანი სახელი თქვენს მილიონებს მირჩევნია და ეს სახელიც წამართვით, შემიბღალეთ.

მაკრინე. (გააწყვეტინებს) აბა რას ამბობ შვილო?!

ლევანი. (გააწყვეტინებს) ჩემი საუკეთესო ამხანაგები საპყრობილეში ხხდან მამიჩემის წყალობით.

მაკრინე. ალბათ ღირსნი არიან და მიტომ სხედან; კაი კაცს ციხეში არ ჩააჯდენენ. მაგისთანა რაზბოინიკებს არც უნდა გაუამხანაგდე!

ლევანი. (შედგება და მაკრინეს შეაჩერდება) დედაჩემო, მომშორდი, თავი დამანებე! დავიქანცე, დავიტანჯე! ღმერთი არა გრწამს?! (სკამზე დაეშვება) მომშორდით, დამანებეთ თავი (მაკრინე პირჯვარს იწერს და გადის. ლევანი რამოდენიმე ხანს ჩაფიქრებული ზის) დღეს მუშებს მიტინგი აქვთ ბაღში. მე, ჯაშუშს, მათ შორის ალაგი არა აქვს. მათ შეიძლება სალდათის ტყვიას მიუშვირონ გული, მე კი უფლება აღარა მაქვს მათ გვერდში ამოვუდგე და გავამხნევო; (ატირებული კილოთი) ამხანაგებო! ჩემი ოცნება მხოლოდ თქვენს გარშემო ტრიალებდა და სიცოცხლეში თუ ვერაფერი შევძინეთ, თქვენთან ერთათ მაინც მოკვდები მეთქი (თავს ხელებზე დაუშვებს. სიჩუმეა. შემოდის გიორგი და მეორე კარებისაკენ მიდის, ლევანს ვერ ამჩნევს, ლევანი კი შეხედავს).

გიორგი. მაგათ მხოლოდ ტყვია ასწავლის ჭკუას (თავის კაბინეტში შევა, ცოტა ხნის შემდეგ ქართული მარსელიეზის ხმა მოისმის. ხმა თანდათან ახლოვდება, ლევანს აღელვება და მოუთმენლობა ეტყობა. მარსელიეზა გათავდება და რამოდენიმე ხნის შემდეგ მოისმის ქუჩიდან! „სიკვდილი მტარვალებს, სიკვდილი მტარვალებს".)

ლევანი. (აღელვებული იმეორებს) სიკვდილი მტარვალებს, სიკვდილი მტარვალებს ხელს (მარსელიეზას განაგრძობენ ლევანს სახე გაუბრწყინდება, ქუდს წამოავლებს და გარეთ მიეშურება. იმის გასვლისთანავე ისვრიან ქუჩიდან ქვებს და ფანჯრებს ჩაამტვრევენ, ქვები ზალაში ცვივიან ყვირილი ისმის! „სიკვდილი ჯაშუშებს, ჯაშუშო, ჯაშუშო, მოღალატევ, გამცემო, იუდა"! კაბინეტიდან ჟილეტის ამარა გამოვარდება გიორგი).

გიორგი. (ფანჯარასთან მივარდება) მალე ჩაჩუმდებით, მალე, მალე თქვენ საზიზღრებო! სუყველა სათოკეები ხართ, სულ ყველა ჩამოსაღრჩობი! მალე ჩაიკეტებით ხმას, არ მოისვენებთ? ტყვია მოგასვენებთ, (ქვებს ისვრიან, „ჯაშუშო, გამყიდველო, მოღალატევ, იუდა"! მოისმის ხმები. ლევანი უკან შემობრუნდება უქუდოთ, მამის დანახვაზე შეკრთება და კარებში შეჩერდება) თქვენის სისხლით რომ შეიღებება დღეს ქუჩები, მაშინ ისწავლით ჭკუას, მაშინ მოხვალთ გონს (ლევანი სწრაფათ ლევორვერს ამოიღებს ჯიბიდან და რამოდენიმე ნაბიჯს წინ გადადგამს; ამ დროს გიორგი გამოტრიალდება და ლევანი რევოლვერს დაახლის ორჯერ. გიორგი მუშტებს ააშვერს, სახე დაემანჭება, თან ტკივილით, თან სიბრაზით „საზიზღარო, მხეცო" წამოიძახებს და ძირს დაეცემა. ლევანი გაშტერებული დაჩრება.

ფარდა.

1905 წ. **ივ. გომართელი.**

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი" მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.